დამტკიცებულია
შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის
რექტორის 25.08.2025 წლის N2/130 ბრძანებით

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია

შრომის უსაფრთხოების თანამიმდევრული პრევენციული ღონისძიებების პოლიტიკა

2025

მუხლი 1. შესავალი

1.1. შპს „ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის“ (შემდგომში – აკადემია) შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის მიზანია უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა, დასაქმებულთა და სხვა პირების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვა, უბედური შემთხვევებისა და საშიში ინციდენტების პრევენცია.

1.2. წინამდებარე დოკუმენტი შემუშავებულია „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე და შეესაბამება როგორც საქართველოს კანონმდებლობას, ისე შრომის უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტებს.

1.3. აქ განსაზღვრული პრევენციული ღონისძიებებისა და პროცედურების შესრულება სავალდებულოა აკადემიის ყველა თანამშრომლისათვის.

მუხლი 2. შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა

2.1. აკადემიამ შეიმუშავა ჯანმრთელობის, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის პოლიტიკა, რომლის მიზანია სისტემატური გაუმჯობესება. აკადემიის უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს დასაქმებულთა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა სამუშაოს უარყოფითი ასპექტებისგან, ასევე ჯანსაღი და უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნა.

2.2. აკადემია ახორციელებს სისტემურ მართვას შრომის უსაფრთხოების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში, რაც განიხილება თანამშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების აუცილებელ პირობას.

2.3. აკადემია ორიენტირებულია შრომის უსაფრთხოების კულტურის ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე, რათა აკადემიასთან ურთიერთობის ნებისმიერი ფორმით დაკავშირებულმა პირმა იზრუნოს როგორც საკუთარ, ისე სხვა პირების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე.

2.4. შრომის უსაფრთხოების სფეროში აკადემიის მიზანია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის პრიორიტეტის აღიარების ფონზე სტაბილური მუშაობის უზრუნველყოფა.

2.5. დასახული მიზნების მისაღწევად აკადემია იღებს შემდეგ ვალდებულებებს:

ა) საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულება და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინება;

ბ) შრომის უსაფრთხოების დონის გაუმჯობესება სამუშაო სივრცეში საფრთხის შემცველი ფაქტორების შემცირებისა და აღმოფხვრის გზით;

გ) შრომის უსაფრთხოების სფეროში სიახლეების მონიტორინგი და მათი გათვალისწინება;

დ) ხელმძღვანელობასა და დასაქმებულებს შორის უწყვეტი ორმხრივი კომუნიკაციის უზრუნველყოფა;

ე) დასაქმებულთა სწავლებისა და ინსტრუქტაჟის უზრუნველყოფა მათთვის გასაგებ ენაზე;

ვ) დასაქმებულთა სანიტარულ–საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზება;
ზ) შრომის უსაფრთხოების წესებისა და მოთხოვნების მუდმივი კონტროლი და აუდიტი;
თ) სამუშაო პირობებისა და შრომის უსაფრთხოების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა კანონით განსაზღვრულ პირებზე;
ი) თანამშრომლებზე პასუხისმგებლობებისა და მოვალეობების რაციონალური განაწილება.

2.6. ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ძირითადი რისკები დაკავშირებულია შემდეგთან:
ა) მუშაობა ელექტროობასთან;
ბ) ერგონომიკული საფრთხეები;
გ) პროფესიული დაავადებები;
დ) საცეცხლე სამუშაოები;
ე) ხანძარი და სხვა ბუნებრივი ან ტექნოგენური მოვლენები.

2.7. აკადემია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს შრომის უსაფრთხოების დაცვას და აღიარებს მას როგორც ფუნდამენტურ ფასეულობას. პოლიტიკა ეფუძნება პროცესების უწყვეტ გაუმჯობესებას და პასუხისმგებლობას, რომ ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მნიშვნელობა აღიაროს ყველა, ვინც დაკავშირებულია აკადემიასთან.

2.8. შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა:
ა) შეესაბამება აკადემიის სპეციფიკას, მის საქმიანობასა და რისკების მასშტაბებს;
ბ) ეცნობება თითოეულ თანამშრომელს და განთავსებულია თვალსაჩინო ადგილას;
გ) ექვემდებარება ანალიზს, რათა მუდმივად შეესაბამებოდეს სახელმწიფოს ხედვას შრომის უსაფრთხოების სფეროში.

2.9. შრომის უსაფრთხოების მართვის სისტემა თავსებადია აკადემიაში დანერგილ სხვა მართვის სისტემებთან.

2.10. აკადემიის ხელმძღვანელობა იღებს შემდეგ ვალდებულებებს:
ა) ნებისმიერი საქმიანობის დაწყებამდე აფასებს, განსაზღვრავს და აღკვეთს ჯანმრთელობაზე, შრომის უსაფრთხოებასა და გარემოზე უარყოფით ზემოქმედებას, აგრძელებს რისკებისა და ზემოქმედების ანალიზს ყველა სამართლებრივი მოთხოვნის შესაბამისად;
ბ) რეგულარულად აცნობებს თანამშრომლებს და შესაბამის მხარეებს ჯანმრთელობის, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მიზნებსა და პროცედურებს;
გ) ახორციელებს დასაქმებულთა სწავლასა და ტრენინგს, საჭირო რესურსებით უზრუნველყოფას და მათი პასუხისმგებლობის გაზრდას შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის კუთხით;
დ) აკადემიის საქმიანობასთან დაკავშირებულ პირებს აწვდის მითითებებს ჯანმრთელობის, შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვის წესებზე;
ე) უზრუნველყოფს მზადყოფნას გადაუდებელი სიტუაციების და გაუთვალისწინებელი გარემოებების მიმართ, სწრაფ და ეფექტურ რეაგირებას, ინციდენტების გამოძიებას;
ვ) უზრუნველყოფს ანგარიშგებას, საქმიანობის შეფასებასა და კომუნიკაციას ყველა სახის შემთხვევასთან დაკავშირებით;
ზ) სისტემატურად მიმოიხილავს, აანალიზებს და იძიებს შრომის უსაფრთხოების გეგმას და იღებს შესაბამის ზომებს მისი ეფექტურობის გასაუმჯობესებლად.

მუხლი 3. ინფორმაცია აკადემიის შესახებ

აკადემიის დასახელება	შპს „ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია“
წარმოებული სამუშაოს ტიპი	საშუალო რისკის სექტორი
საიდენტიფიკაციო ნომერი	406046173
მისამართი	(1) თბილისი წერონისის ქ. 208; (2) ქ. თბილისი დადიანის ქ. 28 ; (3) ქ. თბილისი; გ. ქუთათელაძის 1 გასასვლელი 10; (4) ქ. საჩხერე ივანე გომართელის 50ა, 52
დირექტორი	სოფიო მაჭარაშვილი
დირექტორის ტელ.	593 30 32 11
შრომის უსაფრთხოების სამსახურის უფროსი, სპეციალისტი	ირაკლი ლაღიძე; ნუგზარი ციხელაშვილი;
შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ტელ.	593 80 77 88; 577 551 329;
წარმოების საქმიანობის სფერო/ეკონომუკური საქმიანობის სახე, კოდი	85320 საგანმანათლებლო საქმიანობა

მუხლი 4. შრომის უსაფრთხოების სისტემის მართვა, დამსაქმებლისა და დასაქმებულის ვალდებულებები და პასუხისმგებლობები

4.1. აკადემიის ხელმძღვანელობამ ჩამოაყალიბა შრომის უსაფრთხოების მართვის ინტეგრირებული სისტემა, სადაც დეტალურად არის გაწერილი სამუშაო პროცესში ჩართული პერსონალის მოვალეობები და პასუხისმგებლობები. ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის მოთხოვნების შესრულება სავალდებულოა ყველა თანამშრომლისათვის და გათვალისწინებულია მათ მოვალეობებსა და სამუშაო აღწერილობაში.

4.2. შრომის უსაფრთხოების მიმართულების ხელმძღვანელად განსაზღვრულია შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პოზიცია, რომელიც შედის მმართველი რგოლის შემადგენლობაში და ექვემდებარება აკადემიის რექტორს.

4.3. მმართველი რგოლის შემადგენლობაში შედიან: აკადემიის რექტორი, რექტორის მოადგილე და სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები.

4.4. შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი (სამსახური) აკონტროლებს აკადემიის შრომის უსაფრთხოების სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებას, აწვდის კონსულტაციას ხელმძღვანელობას უსაფრთხოების საკითხებზე და ანგარიშვალდებულია რექტორის წინაშე.

4.5. შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია შეიმუშაოს სამუშაო ადგილზე უსაფრთხოების ინსტრუქციები, გააცნოს ისინი მომუშავე პერსონალს და უზრუნველყოს მათი შესრულების მონიტორინგი.

4.6. აკადემიის მმართველი რგოლი პრიორიტეტს ანიჭებს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის მოთხოვნების დანერგვასა და შესრულებას, რაც მოითხოვს თანამშრომელთა მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის მკაფიო განსაზღვრას.

4.7. შემუშავებულია ყველა დასაქმებულის მოვალეობები და პასუხისმგებლობები, მათ შორის შრომის უსაფრთხოების კუთხით. დასაქმებულები სამუშაოს დაწყებამდე ეცნობიან საკუთარ მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს და მათ შესრულებას ადასტურებენ ხელმოწერით.

4.8. აკადემია იღებს პასუხისმგებლობას ეფექტურად აწარმოოს შრომის უსაფრთხოების სისტემის მართვა. შრომის უსაფრთხოების სისტემის ძირითად ელემენტებად განიხილება:

ა) პოლიტიკა;

ბ) ორგანიზება;

გ) დაგეგმვა;

დ) დანერგვა;

ე) შეფასება;

ვ) სრულყოფის ღონისძიებები.

4.9. შრომის უსაფრთხოების სისტემა აგებულია მოდელზე, რომელიც ეფუძნება პოლიტიკის, დაგეგმვისა და შეფასების უწყვეტ ციკლს და უზრუნველყოფს უსაფრთხოების მართვის პროცესის ეფექტიანობასა და მდგრადობას.



მუხლი 5. შრომის უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები

5.1. აკადემიაში სამუშაოდ დაიშვებიან მხოლოდ 18 წელს მიღწეული პირები, რომლებსაც აქვთ შესაბამისი ცოდნა და უნარები და გავლილი აქვთ შესაბამისი სწავლება აკადემიის დაქვემდებარებაში არსებული მოწყობილობების ექსპლუატაციისა და უსაფრთხოების წესებში.

5.2. სამუშაო პოზიციის ან სამუშაო პროცედურის შეცვლის შემთხვევაში პერსონალისათვის სავალდებულოა გადამზადება და პირველადი ინსტრუქტაჟის ჩატარება.

5.3. სამუშაო სივრცეში არ დაიშვებიან ის პირები, რომელთაც კავშირი არ აქვთ შესრულებულ სამუშაოებთან.

5.4. დაუშვებელია არაქარხნული (კუსტარული) და გაუმართავი ინსტრუმენტებისა და მოწყობილობების გამოყენება.

5.5. აკადემიის საკუთრებაში არსებულ ობიექტებზე აკრძალულია ალკოჰოლის, ფსიქოტროპული და ნარკოტიკული ნივთიერებების მიღება, ასევე ალკოჰოლის, ფსიქოტროპული ან ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირის დაშვება სამუშაო სივრცეში.

5.6. საწარმოო ტრავმის, უბედური შემთხვევის ან პროფესიული დაავადების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს სამაშველო სამსახურს, უშუალო ხელმძღვანელს, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს და სსიპ „შრომის ინსპექციის სამსახურს“.

5.7. მომეტებული საფრთხის შემთხვევაში, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს უბედური შემთხვევა ან ინციდენტი, სასწრაფოდ უნდა მოხდეს სასწავლო პროცესის შეწყვეტა. ამის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობოს აკადემიის ხელმძღვანელობას და შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს. მათგან შესაბამისი მითითებების მიღების გარეშე სამუშაოს გაგრძელება ჩაითვლება არასანქცირებულად, ხოლო შედეგებზე პასუხისმგებლობა დაეკისრება დავალების გამცემსა და სამუშაოს შემსრულებელს.

5.8. სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ ყველა მონაწილე ვალდებულია სამუშაო ადგილი დატოვოს წესრიგში და სუფთა მდგომარეობაში.

5.9. სასწავლო პროცესში მონაწილე პირს ეკისრება ვალდებულება მის ხელთ არსებული ინსტრუმენტი და აღჭურვილობა გამოიყენოს მხოლოდ დანიშნულებისამებრ.

მუხლი 6. შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობები

6.1. აკადემიის დაქვემდებარებაში მყოფი პირების შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელია უშუალოდ აკადემიის რექტორი. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტები და აკადემიის თანამშრომლები პასუხს აგებენ დაკისრებული მოვალეობების ფარგლებში და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

6.2. აკადემიის რექტორი, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის, დასაქმებულთა, მათი წარმომადგენლების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სხვა პირთა მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, განსაზღვრავს შრომის უსაფრთხოების ძირეულ ასპექტებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს აკადემიის ტერიტორიაზე ჯანმრთელობის, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულება:

ა) განხორციელდეს ეფექტური პროცესები სამუშაოსთან დაკავშირებული საფრთხეების და რისკების იდენტიფიცირებისთვის, მათი აღმოფხვრის ან მინიმუმამდე დაყვანისა და მუდმივი კონტროლის მიზნით;

ბ) პერიოდულად მიეწოდოს ინფორმაცია აკადემიის ხელმძღვანელობას, დასაქმებულებსა და მათ წარმომადგენლებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შრომის უსაფრთხოების გეგმის მოთხოვნების შესრულების, მათი ეფექტიანობისა და გაუმჯობესების გზების შესახებ.

დასაქმებულთა ჩართულობა

6.3. დასაქმებულთა ჩართულობა შრომის უსაფრთხოების გეგმის ძირითადი ასპექტია. აკადემიის დასაქმებულებსა და მათ წარმომადგენლებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აქვთ შესაძლებლობა, დრო და რესურსები, რათა მონაწილეობა მიიღონ შრომის უსაფრთხოების საკითხების შეფასებასა და უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნის, უსაფრთხოების საკითხების განხორციელების, ტრენინგების, შეფასებისა და კორექტირების პროცესებში.

6.4. აკადემია წაახალისებს დასაქმებულთა ჩართულობას შემდეგი მექანიზმებით:
ა) ჩართულობის ხელისშემშლელი ბარიერების იდენტიფიცირება და მოშორება;
ბ) ორგანიზაციაში ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების ჯგუფის შექმნა ან დასაქმებულთა წარმომადგენლების არჩევა (სურვილის შემთხვევაში);
გ) დასაქმებულებისა და მათი წარმომადგენლების ტრენინგის უზრუნველყოფა, მათთან კონსულტაცია უსაფრთხო სამუშაო გარემოს ყველა ასპექტის შესახებ;
დ) უსაფრთხოების საკითხებში აქტიურად ჩართული თანამშრომლების წახალისება.

დასაქმებულთა პასუხისმგებლობები

6.5. აკადემიის თითოეული თანამშრომელი ვალდებულია დაიცვას შრომის უსაფრთხოების მართვის გეგმა, რაც უზრუნველყოფს უსაფრთხოებას და ხელს უწყობს ინციდენტებისა და საფრთხეების პრევენციას.

6.6. თანამშრომლები შრომის უსაფრთხოების მართვის პროცესში ჩართულნი არიან ტრენინგების საშუალებით, მონაწილეობენ საფრთხეების გამოვლენაში, შეფასებასა და მართვაში.

აკადემიის ხელმძღვანელი რგოლის მოვალეობები

6.7. სამუშაო სივრცეში შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აკადემიის ხელმძღვანელი რგოლი:

1. ზრუნავს, რომ საფრთხის არსებობისას დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას ზიანი არ მიადგეს;
2. უზრუნველყოფს, რომ ფიზიკურმა, ქიმიურმა და ბიოლოგიურმა საფრთხის შემცველმა ფაქტორებმა არ შეუქმნას საშიშროება;
3. კანონმდებლობით დადგენილი წესით აღრიცხავს უბედურ შემთხვევებსა და პროფესიულ დაავადებებს;
4. რეგულარულად ამოწმებს ტექნიკური აღჭურვილობის უსაფრთხოების მდგომარეობას;
5. ახორციელებს პრევენციულ ღონისძიებებს, აფასებს რისკებს და ზრუნავს საფრთხეების შემცირებასა და აღმოფხვრაზე;
6. უზრუნველყოფს მუშა-მოსამსახურეთა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით უსასყიდლოდ აღჭურვას;

7. უზრუნველყოფს აკადემიას პირველადი დახმარების საშუალებებით;
8. უზრუნველყოფს სამუშაო სივრცეში სანიტარიულ–ჰიგიენური მოთხოვნების დაცვას;
9. უზრუნველყოფს პერსონალისთვის შესაბამისი სწავლების ჩატარებას;
10. ზიანის მიყენების შემთხვევაში უზრუნველყოფს მისი ანაზღაურებას;
11. იღებს ინფორმაციას მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ და რეაგირებს;
12. სამუშაოს შესრულებაზე დავალებას გასცემს მხოლოდ რისკების შეფასებისა და შესაბამისი ღონისძიებების გატარების შემდეგ;
13. განიხილავს სამუშაო პროცესებს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან კონსულტაციისა და წერილობითი რეკომენდაციის საფუძველზე;
14. კრძალავს ნებისმიერი ახალი დავალების შესრულებას შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის წერილობითი ინფორმირების გარეშე.

შრომის უსაფრთხოების სამსახურის მოვალეობები

6.8. შრომის უსაფრთხოების სამსახურის ძირითადი მოვალეობაა უსაფრთხოების მოთხოვნების, წესებისა და პროცედურების შემუშავება, დანერგვა და კონტროლი.

6.9. შრომის უსაფრთხოების სამსახური ანგარიშვალდებულია აკადემიის რექტორის წინაშე და მისი პასუხისმგებლობა მოიცავს:

1. ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის პროცედურების, წესებისა და მოთხოვნების შემუშავება და პერიოდული განახლება;
2. მათი შესრულების მონიტორინგი;
3. უსაფრთხოების სისტემის მუდმივი გაუმჯობესება;
4. სამუშაო ადგილზე რისკების შეფასება, საფრთხეების იდენტიფიცირება და პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა;
5. ინსტრუქტაჟის შემუშავება პოზიციებისა და სამუშაო სპეციფიკის შესაბამისად;
6. თანამშრომელთა ტრენინგის გეგმის შემუშავება და შეთანხმება უშუალო ხელმძღვანელთან;
7. ტრენინგების ჩატარება სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე;
8. ინციდენტების მოკვლევა და პრევენციული ზომების შემუშავება;
9. აღმოჩენილი საფრთხეების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ხელმძღვანელობისთვის და რეკომენდაციების გაცემა;
10. სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა უსაფრთხოების საკითხების დროული გადაჭრის მიზნით;
11. მიმდინარე პროცესების კონტროლი და თანამშრომლების ინფორმირება მოთხოვნების დაცვის აუცილებლობაზე;
12. ობიექტის უსაფრთხოების ინვენტარის შემოწმება და საჭიროების შემთხვევაში აღჭურვის ორგანიზება;
13. გადაუდებელი მდგომარეობისათვის სამოქმედო გეგმის შემუშავება და სწავლებების ჩატარება.

დასაქმებულთა მოვალეობები

6.10. დასაქმებული ვალდებულია:

1. იხელმძღვანელოს წესით, ინსტრუქციებით და დამსაქმებლის მიერ დადგენილი პროცედურებით;
2. გამოიყენოს ტექნიკა, მასალები და საშიში ნივთიერებები წესების შესაბამისად;
3. შეასრულოს სამუშაო მხოლოდ შესაბამისი კომპეტენციისა და დამსაქმებლის დავალების პირობებში;
4. არ მოახდინოს ტექნიკისა და აღჭურვილობის დამცავი მოწყობილობების თვითნებური შეცვლა ან მოხსნა;
5. ინდივიდუალური დაცვის საშუალებები გამოიყენოს და შეინახოს ინსტრუქციის შესაბამისად;
6. აცნობოს ხელმძღვანელობასა და სპეციალისტს ნებისმიერი ხარვეზის შესახებ და ხელი შეუწყოს მის აღმოფხვრას;
7. სამუშაოს დაწყებამდე აცნობოს მოსალოდნელი საფრთხის შესახებ და მიიღოს უკუკავშირი ღონისძიებებზე;
8. დაესწროს ტრენინგებსა და საინფორმაციო შეხვედრებს;
9. გაიაროს პროფილაქტიკური სამედიცინო გამოკვლევები კანონმდებლობის შესაბამისად;
10. დაიცვას სპეციალისტის, და ხელმძღვანელის მითითებები;
11. არ გამოცხადდეს სამუშაოზე ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში;
12. საჭიროების შემთხვევაში გაიაროს შემოწმება სიმთვრალის დადგენის მიზნით;
13. დაემორჩილოს თამბაქოს მოხმარების აკრძალვებს;
14. იზრუნოს საკუთარი და სხვების უსაფრთხოებაზე თავისი შესაძლებლობების ფარგლებში.

მუხლი 7. ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის პოლიტიკის დებულებები

7.1. აკადემია აცხადებს ნულოვან ტოლერანტობას ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის მოხმარების მიმართ და მკაცრად იცავს აღნიშნულ მოთხოვნას. ნებისმიერი თანამშრომელი, რომელიც ფლობს, ყიდის, იღებს, ზემოქმედების ქვეშაა, ან შემოწმებისას აღმოჩნდება ალკოჰოლის ან ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ, ექვემდებარება დაუყოვნებლივ დისციპლინურ ზომებს.

7.2. აკადემია იტოვებს უფლებას ჩაატაროს ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის მოხმარების შემთხვევითი შემოწმებები. დასაშვებია თანამშრომლის ტესტირება, თუ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ მან დაარღვია აკრძალვა, რაც დასტურდება გარეგნობით, ქცევით, მეტყველებით ან სუნით.

7.3. აკადემიის ყველა თანამშრომელი და სხვა პირი ვალდებულია, გონივრული ეჭვის არსებობისას, აკადემიის უფლებამოსილი პირის მოთხოვნის შემთხვევაში გაიაროს შემოწმება ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის დადგენის მიზნით.

7.4. თანამშრომლებმა, რომლებიც იღებენ ექიმის მიერ დანიშნულ მედიკამენტებს, უნდა გააფრთხილონ აკადემიის რექტორი და შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი მათი მიღების

პირობებისა და გვერდითი მოვლენების შესახებ, რათა თავიდან იქნეს აცილებული სამუშაო სივრცეში შესაძლო რისკები.

7.5. აკადემიაში დასაქმებულები სამსახურში მიღებისას ეცნობიან და წერილობით თანხმობას აცხადებენ, რომ აკადემიის უფლებამოსილ პირებს აქვთ უფლება განახორციელონ ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის შემოწმება.

7.6. შემოწმება ხორციელდება რექტორის მიერ დანიშნული პირის ან სანდო და კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის მიერ. ტესტირების ყველა შედეგი კონფიდენციალურია.

მუხლი 8. სამუშაო პროცესის დახასიათება

8.1. აკადემიის მომსახურების ქვეშ არსებული ობიექტების საქმიანობა განეკუთვნება საშუალო რისკის სექტორს.

8.2. აკადემიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა პროფესიული განათლება.

8.3. ტექნოლოგიური მიზეზებისა და სამუშაო გარემოს სპეციფიკიდან გამომდინარე, აკადემია ხელმძღვანელობს კონტროლის დაღმავალი მიმართულებით, უპირატესი საკონტროლო ღონისძიებიდან ბოლო საფეხურამდე.

8.4. სამუშაო სივრცეში მყოფ ყველა პირს მიეწოდება ინფორმაცია:

- შრომის პირობებისა და მათი მავნეობის ხარისხის შესახებ;
- ჯანმრთელობისთვის შესაძლო მავნე და არახელსაყრელი შედეგების შესახებ;
- ინდივიდუალური დაცვის აუცილებელი საშუალებების შესახებ;
- შრომისა და დასვენების რეჟიმის შესახებ;
- სამედიცინო–პროფილაქტიკური ღონისძიებებისა და მავნე ფაქტორთან კონტაქტის დროის შემცირების ზომების შესახებ.

მუხლი 9. რისკების შეფასება

9.1. რისკების შეფასება წარმოადგენს შრომის უსაფრთხოების მართვის სისტემის დაგეგმვისა და განხორციელების აუცილებელ ეტაპს.

9.2. რისკებისა და საფრთხეების შეფასება ხორციელდება დაწესებულების ყველა სტრუქტურულ და ორგანიზაციულ დონეზე.

9.3. რისკების შეფასება სავალდებულოა როგორც საქმიანობის დაწყებამდე, ისე ახალი ამოცანის შესრულების დაწყებამდე.

მუხლი 10. რისკების შეფასების მართვა

10.1. რისკის მართვა წარმოადგენს საფრთხეების იდენტიფიცირების, შეფასების, მონიტორინგისა და კონტროლის ღონისძიებების გატარების პროცესს, რომელიც მიზნად ისახავს რისკის მისაღებ დონეზე შენარჩუნებას.

10.2. რისკის მართვა აკადემიის სტრატეგიული მართვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს.

10.3. რისკის მართვის მთავარი ამოცანაა რისკების იდენტიფიკაცია და საპასუხო ღონისძიებების გატარება. მისი საშუალებით შესაძლებელია გამოვლინდეს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ აკადემიის საქმიანობაზე.

10.4. აკადემიის ზოგადი რისკის შეფასება უნდა ასახავდეს არსებულ საფრთხეებს და ზოგად კონტროლის ზომებს. პირველ რიგში ტარდება ზოგადი შეფასება, რის შემდეგაც ხორციელდება უფრო კონკრეტული, ინდივიდუალური საქმიანობების შეფასება.

10.5. რისკების შეფასების პროცესის ხუთი საფეხურია:
ა) საფრთხეების იდენტიფიცირება;
ბ) რისკის ქვეშ მყოფი პირების განსაზღვრა;
გ) რისკების გაანალიზება და კონტროლის ზომების ადეკვატურობის შეფასება;
დ) დასკვნების დოკუმენტირება;
ე) შეფასებების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში განახლება.

10.6. რისკების შეფასების პროცესში საქმიანობის სახეები და პროცედურები დაყოფილია ცალკეულ აქტივობებად. თითოეულ მათგანზე იდენტიფიცირდება საფრთხეები, პოტენციური შედეგები და რისკის ქვეშ მყოფი პირები, რაც იძლევა რისკების ერთობლივი ანალიზისა და ეფექტური შეფასების შესაძლებლობას.

10.7. სტანდარტულ სამუშაო პროცესებთან დაკავშირებული საფრთხეები და რისკები, როგორც წესი, წინასწარ ცნობილია, შესაბამისად ძირითადი კონტროლის ზომებიც განსაზღვრულია.

მუხლი 11. საფრთხის იდენტიფიცირება

11.1. საფრთხის იდენტიფიკაციისათვის მნიშვნელოვანია აკადემიის სივრცისა და ტერიტორიის დათვალიერება და პერსონალთან კონსულტაციები.

11.2. იდენტიფიკაციის პროცესში გამოიყენება: უბედური შემთხვევებისა და ინციდენტების მოკვლევის მასალები, ზედამხედველი ორგანოს დასკვნები, აუდიტორული ანგარიშები, სამუშაო ანგარიშები და სამეცნიერო მასალები.

11.3. სახიფათო პირობები არ უნდა აღირიცხოს, როგორც საშიში. ისინი დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს.

მუხლი 12. რისკის ქვეშ მყოფი პირები

12.1. რისკის ქვეშ მყოფ პირებად განიხილებიან თანამშრომლები და სხვა პირები, რომლებიც სრულ სამუშაო დღეს ატარებენ სამუშაო ადგილზე.

12.2. აღნიშნული პირები საჭიროებენ შემოწმებას კომპეტენციისა და დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად.

მუხლი 13. რისკების კონტროლი

13.1. რისკების კონტროლის ღონისძიებები მოიცავს:
ა) თავის არიდებას;
ბ) ჩანაცვლებას;
გ) საინჟინრო კონტროლს;
დ) ადმინისტრაციულ კონტროლს;
ე) ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენებას.

13.2. რისკის შეფასების საფუძველზე მიიღება გადაწყვეტილება, თუ რა სახის კონტროლის ღონისძიებები უნდა განხორციელდეს და როგორია ყველაზე ეფექტიანი სტრატეგია.

13.3. კონტროლის მექანიზმების ადეკვატურობის შეფასებისას ან ახალი ღონისძიებების შემოღებისას გათვალისწინებულია კონტროლის იერარქია.

მუხლი 14. კომუნიკაცია და კონსულტაცია

14.1. კომუნიკაცია და კონსულტაცია წარმოადგენს მუდმივ პროცესს, რომელიც უზრუნველყოფს რისკის მართვასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცვლას აკადემიასა და დაინტერესებულ პირებს შორის.

14.2. კომუნიკაციისას იდენტიფიცირდება და იგზავნება შესაბამისი ინფორმაცია იმ ფორმითა და ვადებში, რაც ხელს უწყობს მოვალეობების სწორად შესრულებას.

14.3. კონსულტაცია ეფუძნება ორმხრივ კომუნიკაციას, რომელიც მიმართულია გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე.

მუხლი 15. მონიტორინგი

15.1. მონიტორინგი მოიცავს:
ა) სტრუქტურისა და ანგარიშგების სისტემის რეგულარულ გადახედვას;
ბ) შესაბამისობისა და ეფექტიანობის აუდიტს;
გ) მიღებული ზომების ეფექტიანობის შეფასებას;
დ) დაგროვილი გამოცდილების გამოყენებას უკეთესი გადაწყვეტილებების მისაღებად.

15.2. მონიტორინგი უზრუნველყოფს, რომ კონტროლის ყველა ღონისძიება რეალურად მოქმედებს და პროცედურები გასაგებია.

მუხლი 16. სამუშაო პროცესთან დაკავშირებული უსაფრთხოების პროცედურები

16.1. უსაფრთხოების პროცედურები შემუშავებულია საშიში ინციდენტების, დაზიანებებისა და დაავადებების თავიდან ასაცილებლად და წარმოადგენს ინსტრუქციულ სახელმძღვანელოს თანამშრომლებისთვის.

16.2. ინდივიდუალური დაცვის საშუალებები (იდს):

- პერსონალი უზრუნველყოფილია შესაბამისი იდს-ებით საქართველოს მთავრობის №590 დადგენილების შესაბამისად.

16.3. ელექტრო უსაფრთხოება:

- სამუშაოზე დაიშვება პირი, რომელსაც გააჩნია შესაბამისი ელექტრო უსაფრთხოების ჯგუფი და გავლილი აქვს ინსტრუქტაჟი;
- განმეორებითი ინსტრუქტაჟი ტარდება პერიოდულად და ცვლილებების შემთხვევაში;
- დაუშვებელია: იდს-ის გარეშე მუშაობა, ელექტრო ყუთების თვითნებური გახსნა, დაზიანებული მოწყობილობის გამოყენება და სხვა.

16.4. ეკრანიან მოწყობილობებთან მუშაობა:

- დასაშვებია მხოლოდ იმ პირისათვის, ვინც გაიარა ინსტრუქტაჟი;
- განმეორებითი ინსტრუქტაჟი ტარდება პერიოდულად და სამუშაო პირობების ცვლილებისას;
- სამუშაო გარემოში გათვალისწინებულია ფიზიკური, ფსიქოლოგიური და ერგონომიკული საფრთხეები;
- პრევენციული ღონისძიებები მოიცავს: უსაფრთხო გარემოში მუშაობას, შესვენებების გაკეთებას, განათების უზრუნველყოფას, სწორი პოზის დაცვას.

მუხლი 17. ტრენინგები და პერსონალის სწავლება

17.1. აკადემია უზრუნველყოფს თანამშრომელთა რეგულარულ ტრენინგებსა და ინსტრუქტაჟს.

17.2. სავალდებულო ტრენინგები მოიცავს:
ა) უსაფრთხო შრომის სამართლებრივ ნორმებსა და პრინციპებს;
ბ) საფრთხეებსა და რისკების კონტროლის ღონისძიებებს;
გ) სახანძრო უსაფრთხოებასა და ევაკუაციის წესებს;
დ) ტექნიკისა და აღჭურვილობის უსაფრთხო გამოყენებას;
ე) პირველადი გადაუდებელი დახმარების სწავლას.

მუხლი 18. უბედური შემთხვევების აღრიცხვა–მოკვლევის წესი

18.1. უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების აღრიცხვა–მოკვლევა ხორციელდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 24 მაისის №01-47/ნ ბრძანების შესაბამისად.

მუხლი 19. დასკვნითი დებულებები

19.1. წინამდებარე დოკუმენტის დამტკიცებისა და ცვლილებების შეტანის თაობაზე გამოიცემა აკადემიის რექტორის ბრძანება;